

შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო

ამ კატეგორიაში წარდგენილი თითოეული განაცხადი შეფასდება 10 კრიტერიუმის მიხედვით: აქედან 8 კრიტერიუმი უკავშირდება პროექტს, ხოლო 2 - კომპანიის ზოგად CSR-პოლიტიკას და საქმიანობას თემთან/საზოგადოებასთან მიმართებით. **ჟიურის წევრებს თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმუმ 10 ქულის მინიჭება შეუძლიათ.**

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
პროექტთან დაკავშირებული კრიტერიუმები - ჯამური ქულის მაქსიმუმ 80%		
დაგეგმვა		
1. პრობლემის სწორად იდენტიფიცირება	პროექტი/ინიციატივა შეესაბამება მიზნობრივი ჯგუფის რეალურ საჭიროებებს, რომელთა გამოვლენა მოხდა თანამონაწილეობითი პროცესის მეშვეობით.	0-10 ქულა
2. მართებული სტრატეგია/გადაწყვეტა	პრობლემის გადასაწყვეტად შეირჩა ეფექტიანი სტრატეგია.	0-10 ქულა
განხორციელება		
3. ყოვლისმომცველი მიდგომა და აქტივობები	განხორციელებულია ეფექტიანი და მრავალფეროვანი აქტივობები; სახეზეა კომპლექსური მიდგომა ინვესტირებული რესურსებისა და გამოყენებული სტრატეგიების თვალსაზრისით, თანმიმდევრული ძალისხმევა.	0-10 ქულა
4. მართვა	პროექტის მართვა გამართული და ეფექტიანია; კომპანია ატარებს საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას, ზრუნავს გაუმჯობესებაზე.	0-10 ქულა
5. ჩართულობა და კომუნიკაცია	დაინტერესებულ მხარეებთან იმართება კონსულტაციები და ისინი არიან პროცესებში ჩართული; აშკარაა თანამშრომლობა და პარტნიორული მიდგომები. კომპანია ახდენს კომუნიკაციას პროექტის შესახებ.	0-10 ქულა
შედეგები და ზეგავლენა		
6. შედეგები და ზეგავლენა	განაცხადში ნათლად არის წარმოჩენილი ის შედეგები და სიკეთე, რაც მიიღო მიზნობრივმა ჯგუფმა; შესაძლებელია შედეგებისა და ზეგავლენის გაზომვა და დასაბუთება.	0-10 ქულა

7. პროექტის შედეგების მდგრადობა	პროექტის შედეგები მდგრადია და გრძელვადიანად შენარჩუნდება; წარმოდგენილი განაცხადი ნათლად აჩვენებს, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.	0-10 ქულა
8. განვითარების პოტენციალი	პროექტს აქვს განვითარებისა და გაფართოების პოტენციალი. კომპანიას კონკრეტული სამომავლო გეგმები აქვს პროექტთან ან სამიზნე პრობლემასთან დაკავშირებით.	0-10 ქულა
საერთო სტრატეგია და შესრულება - ჯამური ქულის მაქსიმუმ 20%		
9. პოლიტიკა და სტრატეგია შერჩეულ სფეროში	კომპანიას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული პოლიტიკა ადგილობრივი თემის გაძლიერებასა და საზოგადოების მხარდაჭერასთან დაკავშირებით; სამიზნე ჯგუფები და სფეროები რელევანტურადაა განსაზღვრული.	0-10 ქულა
10. საერთო მიღწევები შერჩეულ სფეროში	კომპანია ახორციელებს თემის/საზოგადოების კეთილდღეობისკენ მიმართულ ინიციატივებს და საქმიანობას, რასაც აქვს კონკრეტული შედეგები; დანერგილია მართვის ეფექტიანი სისტემები.	0-10 ქულა

ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები			
0-2 ქულა:	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	5-7 ქულა	საკმაოდ კარგი
3-4 ქულა:	საშუალო	8-10 ქულა	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით

შენიშვნა: შეფასებისას გათვალისწინებული იქნება კომპანიის ზომა, საქმიანობისა და შედეგების მასშტაბი შეფასდება კომპანიის ზომასთან შეფარდებით.